**სსიპ სახელმწიფო**
**შესყიდვების**
**სააგენტო**

**12 / აპრილი / 2024 წ.**

KA080136383308024

№ **1142**

# განკარგულება

## შპს „გზის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 5 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „გზის“ (ს/ნ: 245525132) 2024 წლის 5 აპრილის №01/10-166 მომართვა (რეგისტრაციის №3228), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა 2024 წლის 10 და 11 აპრილს წარმოადგინა 2024 წლის 10 აპრილის № 01/10-273 და 2024 წლის 11 აპრილის № 01/10-174 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №3309 და №3340), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2024 წლის 8 აპრილის №1116 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „გზის“ (ს/ნ: 245525132) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2024 წლის 8 მაისს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „გზას“ (ს/ნ: 245525132) 2024 წლის 9 მაისიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე